KA030113590905317

№ 01-19362 **05 / სექტემბერი / 2017 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 11-14 სექტემბერს უნგრეთში, ქ. ბუდაპეშტში ტარდება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული კომიტეტის 67-ე სესია.

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით, საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში გათვალისწინებულია თქვენი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის ქალბატონი ნინო ბერძულის და ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას კანდიდატურები.

სესიის ფარგლებში, 12 სექტემბერს დაგეგმილია თქვენი სიტყვით გამოსვლა მრგვალი მაგიდის შეხვედრაზე, რომელიც ეძღვნება ჯანმრთელობისა და მდგრადი განვითარების საკითხებს.

ვინაიდან ბილეთის თანახმად დელეგაციის ბუდაპეშტში ჩასვლა დაგეგმილია 10 სექტემბერს, 2017 07:55 სააათზე, დელეგაციის წევრების სასტუმროში დროული განთავსების მიზნით საჭიროა დამატებით ერთი ღამის ღირებულების ანაზღაურება, კერძოდ 9 სექტემბრიდან - 13 სექტემბრის ჩათვლით.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ დელეგაციის წევრებისთვის მივლინების ბრძანების გაფორმებას 2017 წლის 9 სექტემბრიდან 13 სექტემბრის ჩათვლით და ზემოთ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მგზავრობის, სასტუმროს, დღიური ნორმისა და მინისტრისა და მინისტრის მოადგილისათვის დღიურ ნორმაზე დანამატის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია